ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №23

აბაშა, 2023 წლის 28 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის მორიგი №5 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ი" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის მორიგი №5 სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის მორიგი №5 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ტ. ხოშტარია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გაცემის კომისიის ანგარიში 2023 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მ. თელია

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გვლა ხოშტარია